შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

RIM

# სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსი

# შინაარსი



www.rustaveli.org.ge

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 21 ივნისის № 608050 ბრძანებას სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის შესახებ
- ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 30 ივნისის №92 ბრძანებას

- ზოგადი დებულებები, კონკურსის მიზნები
- კონკურსში მონაწილე სუბიექტები დამონაწილეობის პირობები
- ძირითადი ფინანსური მოთხოვნები
- საკონკურსო დოკუმენტაცია
- კონკურსზე რეგისტრაციის წესი
- კონკურსის ადმინისტრირება
- პროექტების შეფასება
- მნიშვნელოვანი თარიღები

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 1 - ზოგადი დებულებები, კონკურსის მიზნები

## კონკურსის გამოცხადების საფუძველი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 21 ივნისის № 608050 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის „სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის მე-2 ქვეპროგრამა“ (პროგრამული კოდი - 32 05 04 06)

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი | • 3,000,000.00 (სამი მილიონი) ლარი |

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 1 - ზოგადი დებულებები, კონკურსის მიზნები

## კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის) მმართველობის სფეროში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფა, რაც ითვალისწინებს

- თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით, კომპიუტერული ტექნიკით, საჭირო მასალებით აღჭურვას;
- სათანადო ლიტერატურის შეძენას;
- არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციურ გაუმჯობესებას ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვას.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 2 - კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 21 ივნისის № 608050 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულები**



© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 2 - კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

**პროგრამაში მონაწილე სუბიეტები**

- **პროექტის წარმდგენი:** პროგრამის მიზნობრივ ჯგუფში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (რექტორი/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი/კანცლერი/ უფლებამოსილ პირი)*
- **პროექტის ხელმძღვანელი:** წარმდგენი უსდ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დირექტორი/დირექტორის მოადგილე *

თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულისათვის შესაძლებელია ერთი, ორი ან სამი პროექტის წარმოდგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 21 ივნისის № 608050 ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესების დაცვით.

# მუხლი 3 - ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

საკონკურსო განაცხადის (პროექტის) კონკურსზე წარმოდგენა და დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია შემდეგ ლოტებში:

**I ლოტი**

- განსაკუთრებულად პრიორიტეტული კვლევებისათვის საჭირო დანადგარები, აპარატურა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მათი ცალკეული ნაწილები
(150,000.00 და მეტი ლარის ღირებულების)

**II ლოტი**

- ძვირადღირებული სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა
(100,000.00-დან 149,999.00-მდე ლარის ღირებულების)

**III ლოტი**

- სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება, უცხოური ელექტრონული ლიტერატურის ბაზებზე წვდომა
(მაქსიმუმ 99,999.00 ლარის ღირებულების)

**IV ლოტი**

- რეაქტივები, რეაგენტები, ლაბორატორიული და საექსპერიმენტო სახარჯი მასალები
(არაუმეტეს 25,000.00 ლარის ღირებულების)

**V ლოტი**

- კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო ქსელისათვის საჭირო ელექტრონული ბაზები, სკანერები, ფოტო-ვიდეო გადაღებისათვის საჭირო ტექნიკა, სხვა კომპიუტერული აპარატურა და აქსესუარები
(არაუმეტეს 15,000.00 ლარის ღირებულების)

**VI ლოტი**

- ლიტერატურის შეძენა, თარგმნა, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები
(არაუმეტეს 10,000.00 ლარის ღირებულების)

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 3 - ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ტრანსპორტირებას, მონტაჟს, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლებას, რემონტს, დაზღვევას, საბაჟო გადასახადს, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურებას, უნდა გათვალისწინებული იყოს შესაბამისი ლოტის ბიუჯეტის ლიმიტის ფარგლებში.









© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 4 - საკონკურსო დოკუმენტაცია




კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ქართულ ენაზე საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- **კრებსითი ინფორმაცია** * ივსება GMUS-ში
- **საპროექტო წინადადება** * იტვირთება პროექტში pdf დოკუმენტის სახით, არ უნდა აღემატებოდეს 5 MB-ს (დანართი 3)
- **პროექტის ბიუჯეტი** * ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს არჩეული ლოტის შესაბამისად
- **პროექტის წარმომდგენი იურიდიული პირის „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“** გენერირდება GMUS-დან. წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი

## კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

1. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია **GMUS** - გრანტების მართვის ერთიანი სისტემაში




პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის დაწყება - 2021 წლის 7 ივლისი




პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის დასრულება - 2021 წლის 14 ივლისის 16:00 საათამდე

2. პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია




ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის დასრულება (კონკურსში მონაწილეობის შესახებ **GMUS**-დან დაგენერირებული, ამობეჭდილი, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული განცხადების წარმოდგენა ) - 2021 წლის 16 ივლისის 16:00 საათამდე

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)

პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) დარეგისტრირებულნი იყვნენ პროექტში ჩართული იურიდიული და ფიზიკური პირები:

- საკონკურსო განაცხადის წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დარეგისტრირებული უნდა იყოს GMUS-ის „ორგანიზაციის პროფილში“.
- უსდ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სახელწოდება უნდა ჩანდეს ამ უსდ-ს შესაბამისი ველის ჩამოშლისას
- პროექტის ხელმძღვანელი - დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დირექტორი/დირექტორის მოადგილე დარეგისტრირებული უნდა იყოს GMUS-ის „მეცნიერის პროფილში“

**http://gmus.rustaveli.org.ge**

**ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია 2021 წლის 14 ივლისის 16:00 საათამდე**

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)

## პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის

სავალდებულოა თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის მიერ წარმოსადგენი განაცხადისათვის რიგითი ნომრის მინიჭება (1, 2 ან 3).



* პროექტის ხელმძღვანელის „მეცნიერის პროფილიდან“ უნდა განხორციელდეს GMUS-ში შესაბამისი კონკურსის არჩევის შემდეგ კრებსითი ინფორმაციის შევსება, საპროექტო წინადადების ატვირთვა, ბიუჯეტის შევსება, შემოწმება (validate), წარდგენა (submit), კონკურსში მონაწილეობის შესახებ დაგენერირებული განცხადების ამობეჭდვა.

GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის ნიმუში მოცემულია ამ პრეზენტაციის მე-13-18 სლაიდებში

**ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია 2021 წლის 14 ივლისის 16:00 საათამდე**

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)

GMUS-ში განთავსებულია ექვსი (ინფრასტრუქტურის) კონკურსი ცალ-ცალკე თითოეული ლოტისთვის

პროექტის ხელმძღვანელი GMUS-ის საკუთარი „მეცნიერის პროფილში" შესვლის შემდეგ ირჩევს კონკრეტულ ლოტს, რომელშიც შემოაქვს პროექტი.







შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)



# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)



# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)



# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)



# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაციის წესი (1 ეტაპი)




შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

# მუხლი 5 - კონკურსზე რეგისტრაცია (2 ეტაპი)

## რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში



- ❑ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში
  - * პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერით
  - * დამოწმებული უსდ-ს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით




კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენა შესაძლებელია **2021** წლის **16** ივლისის **16:00** საათამდე

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 6 - კონკურსის ადმინისტრირება

## კონკურსის ადმინისტრირების ეტაპები



- კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
- პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
- ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;
- კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკურ ექსპერტიზა, ხარვეზის დადგენა და ხარვეზის გამოსწორების ვადის განსაზღვრა;
- კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მიერ;
- საკონკურსო კომისიისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორთან წარდგენა დასამტკიცებლად;
- დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;
- ხელშეკრულებების გაფორმება.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მუხლი 7 - პროექტების შეფასება

- კონკურსში მონაწილე განაცხადების (პროექტების) შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 21 ივნისის № 608050 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 პუნქტებით დადგენილი წესების დაცვით.

- ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის საკონკურსო კომისიას და ადგენს მისი საქმიანობის წესს.

- კომისია შემოსული განაცხადების საფუძველზე და საკონკურსო ბიუჯეტის გათვალისწინებით განსაზღვრავს საკონკურსო ლოტებს შორის თანხის განაწილებას.

- განაცხადების შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ, რომელიც შედგება:

ა) სამინისტრო (2 წევრი);
ბ) ფონდი (2 წევრი);
გ) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (1 წევრი);
დ) სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (1 წევრი)
ე) სსიპ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (1 წევრი);
ვ) დარგობრივი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში).

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# მნიშვნელოვანი თარიღები

- **2021 წლის 7 ივლისიდან 14 ივლისის 16:00 სთ-მდე** – პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია
- **2021 წლის 16 ივლისის 16:00 სთ-მდე** – ფონდის კანცელარიაში განცხადების წარდგენა

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA



# *გმადლობთ ყურადღებისთვის!*

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©